

## **„აფხაზეთის ტერიტორიაზე შესასვლელად დროებით უვიზო რეჟიმი წესდება“**

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას ტურისტული მიზნებით შესვლისთვის დროებით უვიზო რეჟიმი დაწესდება. შესაბამის განკარგულებას ხელი რაულ ხაჯიმბამ მოაწერა.

დე ფაქტო პრეზიდენტის ოფიციალურ საიტზე აღნიშნულია:

„რუსეთის ტერიტორიაზე ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებასთან დაკავშირებით, 15 ივნისიდან 1-ლი აგვისტოს ჩათვლით, უცხოელ მოქალაქეებს ნება მიეცეთ ტურისტული მიზნებისთვის შემოვიდნენ აფხაზეთ-რუსეთის საზღვარზე ვიზების მიღების აუცილებლობის გარეშე“

ეს ე.წ. განკარგულება საქართველოს მოქალაქეებზე არ ვრცელდება.

---

13.06.2018 იხ.რუსულენოვან ვებგვერდზე [http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT\\_ID=8003](http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=8003)

## **„აფხაზეთის საგარეო უწყება ევროპარლამენტის მორიგ რეზოლუციას ეხმაურება“**

ევროპარლამენტის მორიგ რეზოლუციას საქართველოს შესახებ, რომელშიც ევროპის პარლამენტი რუსეთს მოუწოდებს, გააუქმოს გადაწყვეტილება საქართველოს რეგიონების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ე.წ. ხელმძღვანელის თანაშემწე ირაკლი ტუშუბა ეხმიანება.

ირაკლი ტუშუბას განცხადებაში ვკითხულობთ, საერთაშორისო სტრუქტურებისა და ევროპარლამენტის მიერ მიღებული მსგავსი რეზოლუციები არაობიექტურ ხასიათს ატარებენ და მიმართულნი არიან საქართველოს ხელისუფლების წამოწყობების მხარდასაჭერად. მისივე თქმით, ევროპარლამენტის მორიგი რეზოლუცია, რომელშიც უსასრულოდ გაისმის რუსეთისადმი მოწოდება, უკან გაიწვიოს ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება, დემაგოგიურია ისევე, როგორც ევროპის სტრუქტურების სხვა დანარჩენი რეზოლუციები.

ირაკლი ტუშუბამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსგავსი დოკუმენტების მიღება ვერანაირად ვერ შეუშლის ხელს რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის განვითარების პროცესს, რომელიც მიმართულია ოკუპირებული აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური, სამხედრო პოლიტიკური და ფინანსური პოტენციალის გამყარებაზე.

---

14.06.2018 იხ.რუსულენოვან ვებგვერდზე <http://pravda-abh.org/news/predstavitel-mid-abkhazii-podobnye-rezolyutsii-evroparlamenta-nosyat-krayne-neobektivnyy-kharakter/>

## **„ქ. გავრის ნაგავსაყრელი შესაძლოა გულრიფშის რაიონში გადაიტანონ“**

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრემიერმა ასტამურ ქეცბამ სოფელ ალახაძეში მდებარე ნაგავსაყრელზე წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით თათბირი ჩაატარა.

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგანგები სიტუაციათა სამინისტროს ინფორმაციით, 10 ივნისს, სოფელ ალახაძეს ნაგავსაყრელზე თვითაალება მოხდა.

აღნიშნული ფაქტისა და არასასურველი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, 2018 წლის 14 ივნისს, ე.წ. მინისტრთა კაბინეტში შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა ინფექციის გავრცელების საწინააღმდეგო გეგმის შემუშავება.

თათბირს ესწრებოდნენ ე.წ. კომისიის წევრები: ბუნების დაცვისა და ეკოლოგიის ე.წ. სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე სერგეი ჭითანავა, საგანგებო სიტუაციათა ე.წ. მინისტრის მოადგილე ტიგრან

დელიბალტიანი და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ე.წ სახელმწიფო სამსახურის მთავარი ექიმი ლუდმილა სკორიკი.

ე.წ. თათბირის შედეგად გადაწყდა, რომ განხილულ იქნას, ოკუპირებული გუდაუთის და ახალი ათონის რაიონიდან ნაგავსაყრელის ოკუპირებული გულრიფშის რაიონის პოლიგონზე გადატანის შესაძლებლობა, სადაც ნაგავსაყრელის მოსაწყობად უფრო ხელსაყრელი პირობებია.

ინფორმაციისთვის, ადრე, ოკუპირებული გუდაუთის და ახალი ათონის რაიონიდან, საყოფაცხოვრებო ნარჩენები და სამშენებლო ნაგავი ოკუპირებულ სოფელ ალახადეში განლაგებულ ნაგავსაყრელზე გადაქონდათ.

---

14.06.2018 იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <https://km-ra.org/index.php/ru/news/item/1194-sostoyalos-soveshchanie-po-voprosu-svalki-v-alakhadzy>

### **„აფხაზ ჩინოვნიკებს შეზღუდვებს უწესებენ“**

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ პირებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ნებისმიერ მოგზაურობაში მონაწილეობა ეკრძალებათ. სხვა სიტყვებით, მათ, ვინც ოკუპირებულ აფხაზეთში გადაწყვეტილებების მიღებაში, ასე თუ ისე, მონაწილეობს, ეკრძალებათ იმ საერთაშორისო შეხვედრებზე დასწრება, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არის ორგანიზებული.

ეს გადაწყვეტილება ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. მინისტრთა კაბინეტმა მიიღო, და ამის შესახებ განცხადება მათ ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული. მთლიანობაში კაბინეტმა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ამგვარი რეგულაციების შთამბეჭდავი ჩამონათვალი შეიმუშავა – ვებგვერდზე გამოქვეყნებულია 100-ზე მეტი შეტყობინება.

მათ რიცხვში არის კიდევ ერთი დავალება ყველა უწყებისთვის, რომელიც ოკუპირებული აფხაზეთის სამოქალაქო აქტიურობას ეხება – დე-ფაქტო უწყებებმა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის თაობაზე უნდა მოახსენონ ე.წ, მინისტრთა კაბინეტს.

---

17.06.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <https://jam-news.net/?p=108023&lang=ru>

### **„აფხაზეთიდან ყირიმის მიმართულებით მეორე სატვირთო ხომალდი გავიდა“**

ოკუპირებული სოხუმის პორტიდან ოკუპირებული ყირიმის მიმართულებით, 2,5 ტ. ინერტული სამშენებლო მასალით (გრანიტული ხრეში) დატვირთული სატვირთო ხომალდი გაემართა. ამის შესახებ, ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსი გიორგი ბერზენია აცხადებს.

აღნიშნული ტვირთი ოკუპირებული ყირიმის ნახევარკუნძულზე გზების მშენებლობისთვისაა განკუთვნილი.

შეგახსენებთ, რომ გრანიტული ხრეშის პირველი პარტია (3 000 ტ.) ოკუპირებული სოხუმიდან ე.წ. ყირიმის რესპუბლიკაში 2018 წლის 11 ივნისს გავიდა და გამოყენებულ იქნა „ყირიმის ხიდიდან“ ოკუპირებულ სევასტოპოლამდე გზის მშენებლობისთვის (აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტი).

გიორგი ბერზენიას თქმით, სატვირთო გემების რეისები იქნება რეგულარული და ოკუპირებული ყირიმისთვის, 2018 წლის დასასრულამდე, იგეგმება 200 000 ტ. გრანიტული ხრეშის მიწოდება.

ე.წ. პრეს-სამსახურის უფროსის განმარტებით, ოკუპირებულ აფხაზეთში გრანიტული ხრემის მოპოვებას (გულრიფშის რაიონის სოფელი ფშაფი) აწარმოებს მხოლოდ ერთი ე.წ. კომპანია „გაერთიანებული გადამამუშავებელი კომპლექსი“, მაგრამ პერსპექტივაში იგეგმება სხვა ე.წ. კომპანიების ჩართვა.

გიორგი ბერზენიამ ჟურნალისტებთან საუბრის დასასრულს აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის დასასრულამდე დაგეგმილია 200 000 გრანიტული ხრემის მიწოდება, რაც ე.წ. ბიუჯეტს 20 000 000 რუბლს მოუტანს და დაამატა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში ინერტული მასალების მარაგი 1 000 0000 ტონას შეადგენს.

გიორგი ბერზენიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში ინერტული მასალების მოპოვება მიმდინარეობს ე.წ. ეკოლოგებთან შეთანხმების საფუძველზე.

---

18.06.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://mineconom-ra.org/ru/news/cmi/766/>

### **„აფხაზეთში ე.წ. ღირსების მკვლევლობები გრძელდება“**

ოკუპირებული აფხაზეთის ოჩამჩირის რაიონში მორიგი ე.წ. „ღირსების მკვლევლობა“ მოხდა. ძმამ ოთხი შვილის დედა მოკლა. ეს აღმაშფოთებელი ფაქტი ე.წ. სამართალდამცავების ოფიციალურ ვებგვერდებზე არ გამოქვეყნებულა და მის შესახებ ინფორმაციის მიღება მხოლოდ Facebook-ის საშუალებით გახდა შესაძლებელი.

ოკუპირებულ აფხაზეთში „ლინჩის“ წესით გასამართლების ფაქტები უმეტეს წილად ქალთა მიმართ ხორციელდება.

მოკლულ ქალს რვა წელი ქონდა მისჯილი იმისთვის, რომ მან თავისი ქმრის სახლიდან ფული მოიპარა. ე.წ. სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ქალი იყო ოთხი შვილის დედა, რომელთაგან უმცროსი მუშუქმწოვარაა და განაჩენი გადადო იმ დრომდე, სანამ უმცროს შვილს 14 წელი შეუსრულდებოდა.

სასჯელის მოხდის ადგილიდან ახალგაზრდა ქალი საკუთარმა ძმამ წამოიყვანა და მეორე დღეს იარაღიდან გასროლით მოკლა. დამნაშავე ე.წ. სამართალდამცავებს ჩაბარდა და დანაშაული აღიარა.

---

18.08.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <https://www.ekhokavkaza.com/a/29301823.html>

### **„გენადი გაგულია UNICEF-ის წარმომადგენლებს შეხვდა“**

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრემიერ-მინისტრი გენადი გაგულია გერო-ს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე იმყოფებოდნენ, წარმომადგენელი ლაილა ომარ გადი, ოკუპირებულ აფხაზეთში UNICEF-ის ოფისის ხელმძღვანელი უილიამ ჰენლონი და ოკუპირებული სოხუმის UNICEF-ის ოფისის სპეციალისტი რუსტამ ანშა.

ლაილა ომარ გადმა გენადი გაგულიას მადლობა გადაუხადა შეხვედრისთვის და ე.წ. პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშვნა მიულოცა.

UNICEF-ის წარმომადგენელმა გენადი გაგულიას გააცნო ოკუპირებულ აფხაზეთში გაეროს ბავშვთა ფონდის მუშაობის ძირითადი მიმართულებები. მისი თქმით, არსებობს სამი მიმართულება, რომელზეც აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს-დედისა და ბავშვების უფლებების დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა და განათლება. ლაილა ომარ გადის განმარტებით, ყოველი ეს მიმართულება მოთხოვნადია ოკუპირებულ აფხაზეთში.

ლაილა ომარ გადის თქმით, ოკუპირებულ აფხაზეთში შექმნილია 8 პედაგოგიური ცენტრი, რომლებიც სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის უზრუნველყოფილია საჭირო აღჭურვილობით.

**18.08.2018** ვრცლად იხ.რუსულენოვან ვებგვერდზე <https://km-ra.org/index.php/ru/news/item/1200-gennadij-gaguliya-vstreilsya-s-predstavilyami-yunisef>